განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯი“

შეფასების თარიღ(ებ)ი 2 თებერვალი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 16 მარტი 2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფსიქოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Psychology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია, 0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე, ბსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია სორდია, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეკლე ჩხეიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯი“ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ახალია და წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა გადის აკრედიტაციას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებთაც ექნებათ ფსიქოლოგიის სფეროში თეორიული, მეთოდოლოგიური, კვლევითი პრინციპების შესახებ ცოდნა.

საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანია, რომელიც მოიცავს 8 სემესტრს. პროგრამა აგებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ-პრაქტიკულ, ასევე, კვლევით სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამა მოიცავს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ კომპონენტს. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების რაოდენობაა 152 **ECTS.** თავისუფალი კომპონენტი(სავალდებულო სასწავლო კურსები), რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 42 **ECTS. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები -24 ECTS,** ხოლო თავისუფალი კომპონეტის **თავისუფალი კრედიტები შეადგენს** 22 კრედიტს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისთვის სულ შეთავაზებულია 17 არჩევითი საგანი და მათ შეუძლიათ გაიღრმავონ ცოდნა ფსიქიატრიული ინტერვიუსა და შეფასების, სექსოლოგიის, გეშტალტთერაპიის, ფსიქოანალიზის თუ სხვა მნიშვნელოვანი მიმართულების ირგვლივ. საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პრაქტიკის გავლითა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით.

წარმოდგენილ პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრია, ხოლო მეორე - სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრი. ამასთან, ერთ-ერთი გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტი.

პროგრამას ახორციელებს 30 პერსონალი, მათ შორის 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი. **პროგრამაში ჩართული** 30 პირიდან 26 უძღვება ძირითადი სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს, მათგან; ძირითადი სწავლის სფეროს (ფსიქოლოგია) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებელი

პერსონალი: პროფესორი: 2, მათ შორის არცერთი არაა ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ასოცირებული პროფესორი: 8, მათ შორის ერთია ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ხოლო 2 მომიჯნავე დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ხუთი - მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე. ასისტენტ პროფესორი - 3, მათ შორის არცერთი არაა ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სამივეს აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ერთი ასისტენტი, დოქტორანტი.

პროგრამის ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და ასევე დამსაქმებლების და ბაზრის მოთხოვნები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯი" ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2022 წლის 2 თებერვალს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით.
  - წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტების, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით.
  - ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1. 2.1. 2.4. 3.1. 3.2. 4.4. 5.1, 5.2. 5.3. სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; და 1.2. 2.2. 2.3. 2.5. 2.6. 4.1. 4.2. 4.3. მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**
  - 1.2. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა სასწავლო კურსის/კურსების საბოლოო შეფასების მიხედვით, არამედ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად კონკრეტული შეფასების მეთოდის/აქტივობის გამოყენებით.
  - 2.2. რეკომენდებულია კიდევ ერთხელ გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსთა თანმიმდევრობა და განისაზღვროს წინაპირობები.

- 2.3. რეკომენდებულია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- 2.5. რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული.
- 2.6. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მოხდეს არა ერთჯერადად, არამედ შუალედური და დასკვნითი შეფასების საფუძველზე.
- 2.6. რეკომენდებულია იმგვარად ჩასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის დოკუმენტი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით.
- 2.6. რეკომენდებულია აღმოიფხვრას შეუსაბამობები საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში 8.1 და 10.2 მუხლებს შორის, რათა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შემადგენლობა, რაოდენობა და კომისიის უფლებამოსილება.
- 4.1. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით.
- 4.2. დაწესებულებამ კვლევითი აქტივობის შეფასების სისტემაში გამოიყენოს კვლევითი პუბლიკაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტები. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლები, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალის კვლევების საერთაშორისო აღიარებას.
- 4.3. რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები განთავსებული იყოს ბიბლიოთეკაში(ელექტრონული ან ბეჭდური სახით).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - 2.2. სასურველია კრედიტების განაწილება ერთნაირი იყოს უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტში (საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასება, სასწავლო გეგმა).
  - 2.4. სასურველია სკოლებთან თანამშრომლობაც, რათა სტუდენტებმა შეძლონ ისეთი პრაქტიკული უნარების გამომუშავება, რომელიც უშუალოდ ბაკალავრის კვალიფიკაციით დასაქმებაში დაეხმარებათ.
  - სასურველია, რომ უსდ-მ შეიმუშავოს სასწავლო კურსების: საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის სილაბუსები.
  - 4.2. უნივერსიტეტში სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემისას გაძლიერდეს რეცენზირების პროცესი ადგილობრივი და საერთაშორისო გარე შემფასებლების მონაწილეობით.
  - 4.2. დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეცნიერო ჟურნალისა და სამეცნიერო კონფერენციის მასალების ინდექსირება იმფაქტ-ფაქტორის მქონე ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში, როგორიცაა Scopus, Web of Science, SCImago Journal & Country Rank, ERIH (European Reference Index of the Humanities), ERIHPLUS, SCI / SSCI / HCI და სხვ.

- 4.4. სასურველია პროგრამის ამოქმედებისთანავე პერსონალის საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გაიზარდოს დაფინანსება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, ამასთან, საჭიროა გაიზარდოს დაფინანსება საბიბლიოთეკო ფონდისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)** ხელმისაწვდომი ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელიც აიოლებს დისტანციურად სწავლის პროცესს, კერძოდ, სილაბუსში მითითებული ბმულიდან სტუდენტს აქვს პირდაპირი წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში არსებულ ციფრულ რესურსებთან.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის „ფსიქოლოგიის“ მიზნებში სრულად ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას ემსახურება ის. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. („ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფსიქოლოგიის ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. შესძენს სტუდენტს ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების საფუძვლებისა და მისი თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ ფართო ცოდნას; მისცემს სტუდენტს საშუალებას შეისწავლოს და გაეცნოს განვითარებისა და პიროვნების ჩამოყალიბების ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიები. სტუდენტები გამოიმუშავებენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის უნარს; მისცემს სტუდენტს კრიტიკული აზროვნებისა და რაოდენობრივი ანალიზის უნარის განვითარების შესაძლებლობას. მოახდენს სტუდენტში რეალობის მეცნიერულად დასაბუთებული გაგებების და აღქმის ფორმირებას“.) პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საზოგადოების და ფსიქოლოგიის სფეროს

განვითარებაში. ვინაიდან, საქართველოში მზარდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფონზე, ფსიქოლოგიის პროგრამას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია პრობლემების გადაჭრაში ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა განათლება და დასაქმება, ხელს შეუწყობს ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიულ გეგმასთან.

პროგრამის შემუშავებისას უსდ-ს მიერ ჩატარებულია შრომისა და განათლების ბაზრის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, რამდენად არსებობს მოთხოვნა ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე ადამიანურ რესურსზე და შეესაბამება თუ არა არსებული კვალიფიკაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რა გამოწვევების წინაშე დგანან დამსაქმებლები და რომელი კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება გადაწყვეტილების მიღება ადამიანური რესურსის შერჩევის პროცესში ამ კონკრეტულ მიმართულებებზე. რაც შეხება თვისებრივი კვლევას ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ონლაინ რეჟიმში, წინასწარ შერჩეული ღია კითხვების გამოყენებით. შერჩეული იქნა 6 რესპოდენტი. კვლევის მიზანი იყო საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზართან შესაბამისობის და დამსაქმებლების გამოცდილების ადამიანური რესურსის შერჩევის პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლა. ასევე ჩატარდა ინტერნეტ რესურსების კვლევა ფსიქოლოგის კვალიფიკაციის ადამიანურ რესურსზე არსებული მოთხოვნის შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა დასაქმების პლატფორმებზე (jobs.ge და HR.ge) მიმდინარე პერიოდში განთავსებული განაცხადები. კვლევაში დაწვრილებით გაანალიზებულია ფსიქოლოგის კვალიფიკაციის ადამიანურ რესურსის მოთხოვნა შრომის ბაზარზე. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მქონე კადრების საჭიროებას შრომის ბაზარზე, რომელიც ემყარებოდა ზემოაღნიშნული კვლევის შედეგებს.

საბაკალავრო პროგრამა შექმნილია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. საქართველოში კვლევა ჩატარებულია 10 უნივერსიტეტზე და წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი, ხოლო საზღვარგარეთის უნივერსიტეტებიდან წარმოდგენილია 2 უნივერსიტეტის გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, პარიზის უნივერსიტეტი (2019 წლამდე ერქვა პარიზის დენი დიდროს უნივერსიტეტი), ამსტერდამის უნივერსიტეტი.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების სამომავლო ხედვის თანახმად, დაგეგმილია საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობა. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გასაძლიერებლად იგეგმება უცხოელი კოლეგების ჩართვა; სტუდენტების ხელშეწყობა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში და გამოაქვეყნონ სტატიები სამეცნიერო ჟურნალებში.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ (საბაკალავროს კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ალტერბრიჯის მისია;

- პროგრამის მიზნები;
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგები წარმოდგენილია 10 პუნქტის სახით, რომელიც გადანაწილებულია 3 ჯგუფად.

ცოდნა და გაცნობიერება – წარმოდგენილია 3 პუნქტით.

კურსდამთავრებული:

1. აკლასიფიცირებს ფსიქოლოგიის მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებად;
2. განსაზღვრავს ძირითადი ფსიქიკური აშლილობების ზოგად დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს;
3. ხსნის თანამედროვე საზოგადოების კვლევის პროცესში ფსიქოლოგიის პროფესიის მნიშვნელოვნებას.

უნარი:

მიღებული ცოდნის რეალიზების შედეგად კურსდამთავრებული:

1. პრაქტიკაში იყენებს ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს;
2. ინტერპრეტირებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ფსიქოლოგიურ პრობლემებს;
3. გეგმავს მცირე მასშტაბის ფსიქოლოგიურ კვლევებს და აანალიზებს მათ შედეგებს;
4. ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას სფეროს პროფესიონალებთან და არაპროფესიონალებთან;
5. მუშაობს ჯგუფურად და ინდივიდუალურად დარგთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებაზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

1. აანალიზებს პროფესიული ცოდნის კეთილსინდისიერად გამოყენების საჭიროებას;
2. პატივს სცემს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთა განსხვავებულ მახასიათებლებს.

საბაკალავრო პროგრამის "ფსიქოლოგიის" სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, უმაღლესი განათლების საფეხურის აღწერასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ინტერვიურებიდან დასტურდება, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება-დახვეწაში ჩართული იყო აკადემიური/მოწვეული პერსონალი, გარე შემფასებელი და დამსაქმებელი.

უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების" თანახმად: „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული წარმოადგენს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები აღნიშნულ სწავლის შედეგს. ამავე დოკუმენტის დანართის („პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება") საფუძველზე, აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია:

- პროგრამის კომპონენტ(ებ)ი, რომლითაც ხდება შეფასება;
- შეფასების მეთოდი (პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული მუშაობა, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა, საბაკალავრო ნაშრომები);
- მონაცემების შეგროვების დრო (მონაცემები შეგროვდება ყოველი სემესტრის ბოლოს);
- პასუხისმგებელი პირი (პროგრამის ხელმძღვანელი / კურსის სილაბუსის ავტორი);
- მიღებული შედეგების ანალიზი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

აქვე აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოლოდინი რეალისტურია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან რეალურად მიღწეული მაჩვენებლების დადარება-ანალიზი მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის, რადგან მიღებული შედეგების შესწავლა შესაძლოა გახდეს სხვადასხვა ცვლილებების გამომწვევი გარემოება.

აკრედიტაციის მიზნით წარდგენილ პროგრამას ერთვის „პროგრამის კურიკულუმის რუკა (პროგრამის შედეგების და კურსების შესაბამისობა), პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა და სამიზნე ნიშნულების რუკა („პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება“). ერთობლივად, ეს სამი დოკუმენტი ქმნის პროგრამის მიზნების, შედეგებისა და მათ მიღწევისთვის აუცილებელი კომპონენტების ურთიერთკა-ვშირის მკაფიო სურათს, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება კი, წარმოადგენს პროგრამის შედეგების (შესაბამისად - მიზნების) მიღწევის დადასტურების ობიექტურ რაოდენობრივ ინდიკატორს.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს დოკუმენტი: **„პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“,** რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნულ წესში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები, სამიზნე ნიშნულები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები. აღნიშნული ინფორმაცია ცნობილია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. ინტერვიურებიდან დასტურდება, რომ მათ სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების, ESG-2015, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით, სწავლის შედეგების გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდებოდა ამ პროცესის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებლების მიერ შემუშავდა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და კურიკულუმის რუკები, მომზადდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

ექსპერტებისთვის ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში დამატებით მასალის სახით მოწოდებულ სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში, სამიზნე ნიშნულები დადგენილია სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, მაგალითად, კერძოდ, სამიზნე ნიშნულად მიჩნეულია სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასებების შემდეგი განაწილება:

(A) – 10%
(B) – 30%
(C) – 30%

(D) – 20%
(E) – 8%
(FX)- 2%
მიზანშეწონილია სამიზნე ნიშნული განისაზღვროს არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით, არამედ ერთი რომელიმე კონკრეტული შეფასების მეთოდის/აქტივობის მიხედვით, როგორც ეს რეკომენდირებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებულ აკრედიტაციის სახელმძღვანელოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების რუკები;
- კურიკულუმის რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედგენაში ჩართული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარე შეფასების დასკვნები);
- დაწესებულების ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა სასწავლო კურსის/კურსების საბოლოო შეფასების მიხედვით, არამედ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად კონკრეტული შეფასების მეთოდის/აქტივობის გამოყენებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე ირიცხება სრული ზოგადი განათლების ატესტატით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების

სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. როგორც დოკუმენტიდან „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ჩანს, სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟების შემთხვევაში). პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ, წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ამრიგად, საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს ისეთი პირების ჩართვას, რომელთაც პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენცია აქვთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ალტერბრიჯის ვებგვერდი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - **„საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის“** - შესაბამისად. საწყის ეტაპზე, საქართველოში მოქმედი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებისა და ასევე, პარიზისა და ამსტერდამის უნივერსიტეტში მოქმედები პროგრამების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა მნიშვნელოვანი მიმართულებები, მიზნები და შედეგები, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა ალტერბრიჯში მოქმედი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართული იყო, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე დამსაქმებლები. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, პროგრამის შემუშავების პროცესში სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ მიუღიათ მონაწილეობა. პროგრამა აგებულია პროცედურების დაცვით და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას.
ალტერბრიჯში შემუშავებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული იღებს ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი ენიჭება იმ კურსდამთავრებულს, ვისაც დაგროვებული აქვს 240 კრედიტი. მათგან სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -152 ECTS; არჩევითი სასწავლო კურსები -30 ECTS; ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსები (თავისუფალი კომპონენტი) - 36 ECTS; თავისუფალი კრედიტები (ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული კურსი, წინაპირობის გათვალისწინებით) - 22 ECTS.
საბაკალავრო პროგრამის და თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი კრედიტების განაწილება და არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა განსხვავებულია. კერძოდ, სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების რაოდენობაა 152 **ECTS.** თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო სასწავლო კურსები), რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 42 **ECTS.**

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 24 ECTS, ხოლო თავისუფალი კომპონეტის **თავისუფალი კრედიტები შეადგენს** 22 კრედიტს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისთვის სულ შეთავაზებულია 17 არჩევითი საგანი, ხოლო პროგრამის და თვითშეფასების დოკუმენტის ჩანაწერში მოცემულია 18 არჩევითი სასწავლო კურსი. ძირითადი სწავლის არჩევითი სასწავლო კურსებში პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტში არის 24 კრედიტი, ხოლო სასწავლო გეგმაში - 30 ECTS; ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსები (თავისუფალი კომპონენტი) - პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტში არის 42 კრედიტი, სასწავლო გეგმის დოკუმენტში კი წარმოდგენილია - 36 ECTS; თავისუფალი კრედიტები (ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული კურსი, წინაპირობის გათვალისწინებით) - 22 ECTS.

სასურველია კრედიტების განაწილება ერთნაირი იყოს უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტში (საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასება, სასწავლო გეგმა).

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსები პროგრამის მიზნების, შედეგებისა და საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად არის არჩეული. ისეთი კურსები, როგორიც მაგ. პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგიაა, სფეროს შესახებ ფართო ცოდნის მიღების საშუალებას მისცემს სტუდენტს. ისეთი საგნები კი, როგორიც რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თვისებრივი კვლევის მეთოდები, სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში და საბაკალავრო ნაშრომია, მიღებული ცოდნის მეცნიერული კვლევისთვის გამოსაყენებლად საჭირო უნარების გამომუშავებაში დაეხმარება მათ. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოცემულია საგანთა ისეთი ჯგუფიც, როგორიცაა ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები, კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ფსიქოკონსულტაციისა და ფსიქოთერაპიის საფუძვლები, პროფესიული პრაქტიკა. ეს კურსები სტუდენტს საშუალებას მისცემს მიღებული ცოდნის გამოყენების გზები არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევის მიმართულებით, არამედ პრაქტიკული მიმართულებითაც ეძებოს.

პროგრამა მეტწილად დალაგებულია ლოგიკურად, მარტივიდან რთულისკენ, საგნების თანმიმდევრობა რეგულირდება, სილაბუსში მითითებული წინაპირობებით. თუმცა ბუნდოვანია, თუ რატომ არის ისეთი საგანი, როგორიცაა „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ საგნის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ წინაპირობა მაშინ, როცა ეს უკანასკნელი კვლევის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ცოდნას აწვდის სტუდენტს, კურსი „სატატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ კი - კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს. ამდენად, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსთა თანმიმდევრობა და განისაზღვროს წინაპირობები.

პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი გადის პრაქტიკას (10 კრედიტი) და ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი). ამ კურსების ფარგლებში სტუდენტი მოახერხებს, პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების განმტკიცებას და მიღებული ცოდნის ინტეგრირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები.
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- ალტერბრიჯის ვებგვერდი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსთა თანმიმდევრობა და განისაზღვროს წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კრედიტების განაწილება ერთნაირი იყოს უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტში(საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასება, სასწავლო გეგმა).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს

აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რამდენიმე რუკა. რუკებში აღწერილია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობა, პროგრამის შედეგებისა და ცალკეული სასწავლო კურსების შედეგების ურთიერთშესაბამისობა, იქვე მითითებულია თუ როგორ (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) და რა მეთოდების (მაგ. სემინარი, დისკუსია, როლური თამაშები და ა.შ.) გამოყენებით გადის ცალკეული კურსი პროგრამის ცალკეულ შედეგზე. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტ-ნაკლებად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა მიზანშეწონილია დაზუსტდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამის ცალკეულ შედეგთან. ასე მაგ. სასწავლო კურსის „ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები“ შედეგებში ვკითხულობთ, რომ სტუდენტი „..ახდენს ფსიქომეტრული და პროექციული ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკების ჩატარება/დამუშავებას, ასევე, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას, ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმას და რეკომენდაციების შემუშავებას“. ამ კურსის შედეგებში მითითებული „დიაგნოზის დასმა“ და „რეკომენდაციების შემუშავება“ საბაკალავრო საფეხურისთვის არ არის რელევანტური და არც პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. ასევე, სასწავლო კურსის „ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები“ სილაბუსის შედეგებში წერია, რომ სტუდენტს „შეუძლია თანამედროვე ფსიქოლოგიის ემპირიული კვლევის საბაზისო დონეზე ჩატარება“. ამ კურსის ფარგლებში განხილული საკითხები და გამოყენებული მეთოდები ამ შედეგის მიღწევის საშუალებას არ იძლევა, მით უმეტეს საგანს შესაბამისი წინაპირობაც არ აქვს მითითებული. ასევე, პროგრამის ფარგლებში მისაღწევი ერთ-ერთი შედეგის თანახმად, სტუდენტი „აკლასიფიცირებს ფსიქლოგიის მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებად“. გარდა იმისა, რომ ცოტა ბუნდოვანია ამ შედეგში ნაგულისხმევი შინაარსი, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ შედეგზე გადის თითქმის ყველა სავალდებულო საგანი და მათ შორის მაგ. „განვითარების ფსიქოლოგია 1“ (თუმცა არა „სოციალური ფსიქოლოგია 1“). სასწავლო კურსის „განვითარების ფსიქოლოგია 1“ სილაბუსში ცალსახად ამ ან მსგავსი შედეგის შესახებ ჩანაწერი არ გვხვდება. ასევე პროგრამის ერთ-ერთი შედეგის თანახმად, სტუდენტი „ინტერპრეტირებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ფსიქოლოგიურ პრობლემებს“. ამ შედეგზე გამსვლელ საგანთა ჩამონათვალში ვხვდებით საგანს „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ თუმცა კურსის სილაბუსში არაფერი წერია კოგნიტური უნარების თვალსაზრისით არსებული ასაკობრივი სხვაობების შესახებ და სილაბუსის თემატური ანალიზიდანაც ჩანს, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება კოგნიტური უნარების თვალსაზრისით არსებული ზოგადი კანონზომიერებების შესწავლაზე და არა ამ უნარების თვალსაზრისით არსებული განსხვავებების შესწავლაზე. ამრიგად, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ გადაიხედოს ცალკეული კურსებისა და მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგები და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მეტწილად შესაბამისობაშია ცალკეული

კურსების სირთულესთან და სწავლის შედეგებთან. კურსების სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო თანამედროვე, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ქართულ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა; • ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • ხელმისაწვდომი ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელიც აიოლებს დისტანციურად სწავლის პროცესს, კერძოდ, სილაბუსში მითითებული ბმულიდან სტუდენტს აქვს პირდაპირი წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში არსებულ ციფრულ რესურსებთან.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
• პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით სტუდენტს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“. ამასთან, ამ უნარების განვითარება სხვა სასწავლო კურსების ფარგლებშიც იგეგმება. მაგ. ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, „თვისებრივი კვლევის მეთოდები“, „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“, „აკადემიური წერა და კეთილსინდისიერება“, სტუდენტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესრულებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას შესძლებს. აქ მიღებული ცოდნისა და უანრების განმტკიცება კი ისეთი სასწავლო კურსის ფარგლებში იგეგმება, როგორიც არის მაგ. „საბაკალავრო ნაშრომი“. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, ყველა სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი (10 ECTS). ამ კურსის ფარგლებში სტუდენტს მოეთხოვება კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის მომზადება და დაცვა. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თემატიკის განსაზღვრის წესი ასახულია დოკუმენტში „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია“. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის, მიმართულების შესაბამისად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ალტერბრიჯის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, სტუდენტი ხელმძღვანელისგან მიიღებს მხარდაჭერას ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროექტის გეგმის შედგენა, ბიბლიოგრაფიის მოძიება, სამუშაო პროცესის პერიოდული მონიტორინგი და უკუკავშირით სტუდენტის უზრუნველყოფა. კურსის ფარგლებში სტუდენტი მოახერხებს პროექტის შემუშავებისა და ორგანიზებული სახით წარმოდგენისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას, რაც მას განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელებისთვის შეამზადებს. ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს ასევე უწევს ისეთი საგნის გავლა, როგორიც არის „პრაქტიკა“ (10 ECTS). როგორც „პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესიდან“ ჩანს, პროფესიული

პრაქტიკის მიზანია, აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნის განმტკიცება და გაფართოება, ახალი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავება, კონკრეტული ორგანიზაციების საქმიანობაზე დაკვირვებისა და ამ პროცესში ჩართვის გზით. ეს პროცესი სტუდენტს ზუსტ წარმოდგენას შეუქმნის ძირითადი პროფესიული ამოცანების და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ და მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების საშუალებას მისცემს. პრაქტიკის გავლას სტუდენტი მოახერხებს ყველა სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პარალელურად. პრაქტიკის გავლა შესაძლებელი იქნება პარტნიორ ორგანიზაციაში. დოკუმენტში „პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“ დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკის ფარგლებში შესრულებული აქტივობების შეფასების წესი და კრიტერიუმები. სტუდენტის პრაქტიკულ საქმიანობას მეთვალყურეობს და აფასებს ერთი მხრივ სასწავლო კურსის ხელმძღვანელი (დღიურის წარმოება - 20 ქულა) და მეორე მხრივ - მენტორი -კონკრეტული ორგანიზაციის წარმომადგენელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი (40 ქულა). პრაქტიკის გავლის ბოლოს, სტუდენტი წარადგენს პრეზენტაციას კომისიის წინაშე. წარდგენილი პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 20 ქულით, ხოლო წერილობითი ანგარიში კი - 20 ქულით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ისეთ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმები მოცემული, როგორებიცაა მაგ. „ა(ა)იპ საქართველოს პოსიტიური ფსიქოთერაპიის ასოციაცია“, „ნანა ჩაჩუას ფსიქოლოგიური ცენტრი“, „ა(ა)იპ ფსიქოლოგიური მომსახურეობის ცენტრი მწვანე სახლი“, „შპს ეიჩარ პროფესიონალთა გილდია“, შპს „ეიჩარ ჰაბი“. ეს ჩამონათვალი საინტერესო სურათს ქმნის და სტუდენტებს წარმოდგენას შეუქმნის მათი მომავალი პროფესიული საქმიანობის შესახებ. თუმცა კარგი იქნებოდა სტუდენტებს პრაქტიკის გავლა მაგ. სკოლებშიც შესძლებოდათ. წარმოდგენილი მემორანდუმების ნაწილში დაკონკრეტებულია, რომ სემესტრულად მასპინძელი ორგანიზაცია 3-7, 5-7 სტუდენტის მიღებას შეძლებს, ნაწილში ეს ინფორმაცია არ არის მოცემული. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურად არის აღწერილი როგორც საბაკალავრო ნაშრომის, ისე პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, არ არის წარმოდგენილი ამ კურსების სილაბუსები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია“ და „პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსები. სასურველია, რომ უსდ-მ შეიმუშავოს ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია“; • „პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან ინტერვიუ.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სკოლებთან თანამშრომლობაც, რათა სტუდენტებმა შეძლონ ისეთი პრაქტიკული უნარების გამომუშავება, რომელიც უშუალოდ ბაკალავრის კვალიფიკაციით დასაქმებაში დაეხმარებათ. • სასურველია, რომ უსდ-მ შეიმუშავოს სასწავლო კურსების: საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის სილაბუსები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იგეგმება ინდივიდუალური და ჯგუფური მეთოდების გამოყენებით, ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში. სწავლების პროცესში გამოსაყენებელ მეთოდთა შორის ვხვდებით ისეთებს, როგორიცაა მაგ.: პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირება; ინდუქცია, დედუქცია, ახსნა-განმარტება; როლური თამაშები/ სიმულაციის მეთოდი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვა. ხსენებული მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული სასწავლო კურსისთვის. მაგალითად, კურსის „განვითარების ფსიქოლოგია 2“ ფარგლებში იგეგმება შემდეგი მეთოდების გამოყენება: ვერბალური მეთოდი; პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; შემთხვევის ანალიზი, ხოლო კურსი „ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები“ გამოიყენებს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა მაგ. დემონსტრირების მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრობლემაზე

დაფუძნებული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი. ამ შემთხვევაში, ხსენებული კურსები და ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად გამოსაყენებელი მეთოდები ერთმანეთს შეესაბამება. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში განმარტებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. რუკებში მითითებულია თუ ცალკეული კურსის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები პროგრამის რომელ შედეგზე გასვლის საშუალებას იძლევა. წარმოდგენილია დანართი N1 სახელწოდებით „საორიენტაციო ცხრილი სწავლების მეთოდების შესახებ“, სადაც მოკლედ არის აღწერილი თითოეული მეთოდის შინაარსი. მათ შორის მოცემულია მაგ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ასეთი განმარტება „აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს“. ცხადია ამ კომპლექსური მეთოდის არსს ეს განმარტება სრულად არ ასახავს, თუმცა როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, პერსონალს უტარდება მათ შორის სწავლების მეთოდების შესახება ტრენინგები და საბოლოოდ, თითოეული ლექტორი თვითონ წყვეტს თუ რომელი მეთოდია მისი საგნით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად რელევანტური. სწავლების ისეთი მეთოდი, როგორიც **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებაა (PBL)** მითითებულია შემდეგი კურსების სილაბუსებში, როგორებიცაა მაგ.: „ფსიქოკონსულტაციისა და ფსიქოთერაპიის საფუძვლები“, „შესავალი ფსიქოსომატიკაში“, „შესავალი კოგნიტურ-ბიჰევიორისტულ თერაპიაში“, „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“, „ნეიროფსიქოლოგია“, „პიროვნების ფსიქოლოგია 1“. მოგეხსენებათ, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ამ კომპლექსური მეთოდის გამოყენებისას არსს მხოლოდ პრობლემის დასმა არ წარმოადგენს და პრობლემური კითხვის წამოჭრასთან ერთად, საჭიროა ისეთი ფაზების გავლა, როგორიცაა მაგ. პროექტის გეგმის შედგენა, გეგმის მისაღწევად საჭირო გრაფიკის განსაზღვრა, სტუდენტებისა და პროექტის პროგრესის მონიტორინგი, შედეგებისა და სტუდენტთა გამოცდილების შეფასება და ა.შ. სილაბუსებში არ არის მოცემული თუ როგორ ხდება შედეგების ან გამოცდილების შეფასება, რამდენ ხანს და რამდენ პრობლემასთან მიმართებაში გამოიყენება ეს მეთოდი. ინტერვიუებზე დაყრდნობით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცალკეული კურსის ხელმძღვანელები გეგმავენ არა სრულად PBL-ის გამოყენებას, არამედ მის ცალკეულ ასპექტებზე ფოკუსირდებიან. ამდენად, სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული. საერთო ჯამში, სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს და კურსების შინაარსს. ხსენებული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია, როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა; • დანართი N1 - სწავლების მეთოდები • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,

სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: • **რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასება ითვალისწინებს კურსების სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების სისტემა არის თანამედროვე მეთოდებზე დაფუძლებული. სტუდენტებისთვის

წინასწარ არის ცნობილი შეფასების კრიტერიუმები და ქულის გასაჩივრების მექანიზმი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს შეფასებასთან დაკავშირებით და ასევე, ქულის გასაჩივრება და რეაგირება განაცხადზე ხდება დადგენილი ვადების ფარგლებში. ყველანაირი ინფორმაცია ატვირთულია ELMS-ის პორტალზე, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ ქულა და მიიღონ სწრაფი უკუკავშირი.

რეკომენდირებულია გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასება, რადგან იგი შედის სასწავლო კომპონენტში და შესაბამისად, ვერ იქნება ერთჯერადად შეფასებული.

პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი დოკუმენტში არის რიგი ხარვეზები, ისეთი, როგორიცაა მაგალითად: მუხლი 3.„კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ 3 წევრით სამაგისტრო პროგრამის პერსონალიდან და მენტორი“ მუხლი 4. „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო სპეციფიკიდან გამომდინარე კლინიკური პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები შესაძლოა განსხვავებული იყოს.“ ინტერვიურების დროს ზემოაღნიშნული ჩანაწერის შესახებ აღნიშნეს, რომ დოკუმენტში არის ტექნიკური ხარვეზი. სასურველია ერთეულ დოკუმენტებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომელიც ქმნის უზუსტობებს.

საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის დოკუმენტში, მუხლი 1. არის ჩანაწერი: 3.3.“საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამული მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მქონე პირი/სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი გარდა დოქტორანტისა.“ აღნიშნული მოთხოვნის განხორციელება დაწესებულების მიერ შეუძლებელია, ვინაიდან 50 სტუდენტის მიღება არის დაგეგმილი, ხოლო დარგის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის მქონე საკმარისი კადრი არ ჰყავთ. ინტერვიურებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტის ახალი რედაქცია, სადაც ეს ჩანაწერი სხვაგვარად არის ფორმულირებული და შეესაბამისობაშია უსდ-ს აკადემიურ პერსონალის რაოდენობასთან. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ოფიციალურად მოწოდენული დოკუმენტის საფუძველზე. მიზანშეწონილია იმგვარად ჩასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის დოკუმენტი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით.

ამასთან, საჭიროა კომისიის შემადგენლობისა და წევრების სტატუსის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა, კერძოდ, წარმოდგენილ ინსტრუქციაში მუხლი 8.1 თანახმად დაცვის კომისია „შედგება შესაბამისი სპეციალობის/მიმართულების მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 წევრისგან (პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით)“. თუმცა, ამავე მუხლის მეორე წინადადებით „ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს აქვთ უფლება დაესწრონ დაცვას, მაგრამ ისინი არ არიან კომისიის წევრები“. ამრიგად, გაუგებარია, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი არის თუ არ არის დაცვის კომისიის წევრი.

ამასთან მუხლი 10.2 - ის მიხედვით „დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3 (სულ მცირე 3 წევრი)“. ეს მოთხოვნა ვერ შესრულდება იმ შემთხვევაში, თუ კომისია შედგება 3 წევრისგან (რასაც უშვებს მუხლი 8.1.) ვინაიდან, 2/3 ნიშნავს 3 კაციანი კომისიიდან 2 კაციან კომისიის შემადგენლობას, არადა 10.2 მუხლის მიხედვით მინიმუმ 3 წევრი უნდა ესწრებოდეს კომისიის სხდომას.

მიზანშეწონილია აღმოიფხვრას შეუსაბამობები საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში 8.1 და 10.2 მუხლებს შორის, რათა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შემადგენლობა, რაოდენობა და კომისიის უფლებამოსილება.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ლექტორებიც და ადმინისტრაციაც მუდმივად მზადყოფნაშია შეფასებასთან და ქულის გასაჩივრებასთან დაკავშირებულ

საკითხებზე დროული რეაგირებისა და უკუკავშირის მიწოდებისთვის. გამოიკვეთა, რომ სტუდენტებმა ყოველთვის იციან თუ რაში დააკლდათ ქულა, და ამ ინფორმაციას იღებენ აკადემიური პერსონალისგან როგორც სიტყვიერად, ისე კომენტარების სახითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ELMS-ის ელექტრონული პორტალი • სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები • თვითშეფასების ანგარიში • შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების საორიენტაციო ფორმა
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მოხდეს არა ერთჯერადად, არამედ შუალედური და დასკვნითი შეფასების საფუძველზე. • რეკომენდირებულია იმგვარად ჩასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის დოკუმენტი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით. • მიზანშეწონილია აღმოიფხვრას შეუსაბამობები საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში 8.1 და 10.2 მუხლებს შორის, რათა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შემადგენლობა, რაოდენობა და კომისიის უფლებამოსილება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
პროგრამა ახალია და მოხდა მომიჯნავე სფეროს სტუდენტებთან შეხვედრა. სტუდენტები იღებენ, სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. დაწესებულების პერსონალი უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული შესაძლებლობების, ვაკანსიების და სიახლეების შესახებ როგორც მეილის სახით, ისე სიტყვიერადაც და Facebook ჯგუფების საშუალებითაც. სტუდენტებს აქვთ წვდომა მასალებსა და ელექტრონულ ბაზებზე. ELMS-ის საშუალებით სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ყველანაირ ინფორმაციას. ინტერვიუს დროს, გვქონდა საშუალება, გვენახა, თუ როგორ იყენებენ სტუდენტები ELMS-ის პორტალს და გამოიკვეთა, რომ ეს პროცესი მათთვის საკმაოდ მარტივი და მოსახერხებელია როგორც შეფასების, ისე სილაბუსების, ლიტერატურის და სხვა დამატებითი მასალის მოსძიებლად. სტუდენტებს გამოყოფილი ყავთ თანამშრომელი ადმინისტრაციიდან, რომელიც

ყოველთვის მზადაა დახმარებისთვის სისტემაში ორიენტირების მიზნით.

პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები და სტუდენტების თქმით, პერსონალი ყოველთვის მზად არის კონსულტაციის გასაწევად, რაც სტუდენტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ასევე, სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისგან სწავლის პროცესშიც და კურსის დასრულების შემდგომაც.

ყოველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტში ტარდება გამოკითხვა მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. გამოკითხვა მოიცავს სტუდენტთა მოსაზრებებს ლექტორეზე, სასწავლო კურსზე, ზოგადად პროგრამაზე, ინფრასტრუქტურასა და ნებისმიერ უნივერსიტეტთან დაკავშირებულ საკითხზე. გამოკითხვები ტარდება ზუმის, Google Doc-ის და პირადი გასაუბრების ფორმატში. სტუდენტების თქმით, მათ ინიციატივებს და მოსაზრებებს ყოველთვის მოყვება შესაბამისი რეაგირება.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა დაფინანსებას სხვადასხვა პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც. უნივერსიტეტი არის კეთილმოწყობილი და ყველანაირი საჭირო ტექნიკით აღჭურვილი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტრენინგ-ცენტრი, და ნებისმიერ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დაესწროს მათთვის სასურველ ტრენინგებს დამატებითი ხარჯის გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ELMS-ის ელექტრონული პორტალი
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიურ და ადმინისტრაციული პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტის - ფსიქოლოგიის განმახორციელებელი პერსონალი - თანახმად **პროგრამას ახორციელებს** 30 პერსონალი, მათ შორის 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი. **პროგრამაში ჩართული** 30 პირიდან 26 უძღვება ძირითადი სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს, მათგან; ძირითადი სწავლის სფეროს (ფსიქოლოგია) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი: პროფესორი: 2, მათ შორის არცერთი არაა ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ასოცირებული პროფესორი: 8, მათ შორის ერთია ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ხოლო 2 მომიჯნავე დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ხუთი - მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე. ასისტენტ პროფესორი - 3, მათ შორის არცერთი არაა ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სამივეს აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ერთი ასისტენტი, დოქტორანტი.

შესაბამისად, პროგრამაში ჩართული 30 პირიდან 26 უძღვება დარგის შესაბამის სასწავლო კურსებს, მათგან 19 არის დარგის სპეციალისტი (სპეციალიზაცია ფსიქოლოგიის მიმართულებით), 7 აქვს სპეციალიზაცია მომიჯნავე სფეროებში. დარგის შესაბამისი სასწავლო კურსების ხელმძღვანელი 26 პირიდან 9 პირს აქვს დოქტორის ხარისხი, 17 - მაგისტრის ხარისხი. დოქტორის ხარისხის მქონე 9 პირიდან 3 არის დარგის სპეციალისტი, მათგან 1 არის აკადემიური პერსონალი, 2 - მოწვეული. არადარგობრივი სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთაგან 2 არის დოქტორის ხარისხის მქონე, ერთს აქვს მაგისტრის, ხოლო ერთს ბაკალავრის ხარისხი. ხსენებულ დოკუმენტში მითითებული პერსონალიდან, სამი პირის cv, დიპლომები და სხვა დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, რამაც გაართულა დარგთან მათი კავშირის დადგენა. ამდენად, რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით.

პერსონალის ნაწილი არ ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხს, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. ამასთან, ერთეულ შემთხვევებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა მცირეა. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე. კვლევითი საქმიანობის ცენტრის 2020 წლის ანგარიშის დოკუმენტიდან და ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ 2021 წლის ივლისის თვეში მომზადდა სამეცნიერო ჟურნალის ქართულენოვანი ვებ-გვერდი, რომელიც ამჟამადაც ინფორმაციით შევსების რეჟიმშია და, უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოსაზრებით ივლისის ბოლოს იქნება დასრულებული. ჟურნალში აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს შეეძლებათ უფასოდ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები.

აკადემიურ პერსონალს აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავებისა და კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება.

დოკუმენტაციით და ინტერვიუებით დასტურდება, რომ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებს მუშაობის გამოცდილება აქვთ როგორც უნივერსიტეტში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული დარგის განვითარებაში. კერძოდ, ჩართული არიან სამთავრობო, კერძო, არასამთავრობო, საერთაშორისო სტრუქტურების თუ კვლევითი ორგანიზაციების მუშაობასა და ღონისძიებაში, როგორიცაა მაგალითად: პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი სოსო დოლიძე 2019 წელს

Erasmus + -ის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ფარგლებში კითხულობდა ლექციებს რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში (რუჟომბეროკი, სლოვაკეთი). 2018 წელს Erasmus + -ის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ფარგლებში კითხულობდა ლექციებს პარიზის დენი დიდროს უნივერსიტეტში (პარიზი, საფრანგეთი). პროგრამის ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი გიორგი გრიგოლია 2017 წელს გახლდათ მკვლევარი, ფსიქო-სოციალური ცენტრი - „წეროვანის" მუშაობის ეფექტურობის შეფასების კვლევაში - G.I.P - გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში. 2016 წლიდან გახლავთ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი „ახალგაზრდები ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის".

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით, მეორე მხრივ, უნივერსიტეტს გაუჩენს ვალდებულებას, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომოდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. პერსონალის პირადი საქმეები (დანართი # 5);
3. აკადემიური მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
4. მარეგულირებელი დოკუმენტები, აფილირების წესი https://alterbridge.edu.ge/wp-content/uploads/2020/12/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-.docx.pdf
5. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - https://alterbridge.edu.ge/wp-content/uploads/2021/09/%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის და შეფასებას „პერსონალის შეფასების წესის“ თანახმად. შეფასების შედეგები მუშავდება, დგება ანალიზის დოკუმენტები, რეკომენდაციები და ხდება რეაგირება ძლიერი მხარეების განსამტკიცებლად და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.
სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესი ორი მთავარი მიმართულებით ხორციელდება: სამეცნიერო და პედაგოგიური. სამეცნიერო მიმართულებით დაწესებულებაში ხორციელდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები; ინტენსიურად იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალი; ხორციელდება და იგეგმება ერთობლივი პროექტები საერთაშორისო პარტნიორებთან. პედაგოგიური მიმართულებით პერმანენტულად მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესზე უშუალო დაკვირვება სააუდიტორიო/ონლაინ მეცადინეობისას. მეცადინეობაზე დაკვირვების შემდეგ

აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის.

სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად ფუნქციონირებს კვლევითი ცენტრი. კვლევითი ცენტრი აწარმოებს საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებულ კვლევებს ცალკეული დარგების მიხედვით, რაც მიმართულია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დასახული მისიისა და მიზნის მიღწევისაკენ. კვლევითი ცენტრის საქმიანობის მიზანია: ა) ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევების განვითარებას და ტექნოლოგიური და სერვისული ინოვაციების გენერირებას; ბ) დახმარება გაუწიოს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს კვლევის შედეგების სწავლების პროცესში ეფექტიანად დანერგვაში.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, დაწესებულებაში ფუნქციონირებს „ალტერბრიჯის ტრენინგ ცენტრი“ და „ინოვაციური განათლების ცენტრი“, სადაც სასწავლო უნივერსიტეტი ტრენინგებსა და სემინარებს ახორციელებს დაწესებულების ორგანიზებითა და სრული დაფინანსებით. აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებზე აკადემიური პერსონალი იღებს მნიშვნელოვან კომპეტენციას სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ (შერეული სწავლება, დისტანციური სწავლება და სხვა). ტრენინგების ციკლი მოიცავს შემდეგ თემებს: აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება; კვლევის და კვლევითი პროექტების სწორად დაგეგმვა და განხორციელება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განვითარება. მაგალითად, ალტერბრიჯის კვლევითი ცენტრის ორგანიზებით 2020 წელს ალტერბრიჯის აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა სემინარი აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის შესახებ, რომელიც ჩაატარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა.

სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია დაწინაურებისა და წახალისების სისტემა, რომელიც გაწერილია პერსონალის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რითაც მათ საშუალება ექნებათ, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შესაბამისი ანგარიშები (ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა; აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; პროგრამის შეფასება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ).

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის თვითშეფასების ანკეტის ფორმა, რომელიც ივსება აკადემიური პერსონალის მიერ ყოველწლიურად. ყოველი აკადემიური წლის ბოლოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ აღნიშნულ ფორმას წარუდგენს ხარისხის მართვის სამსახურს. ყოველ საანგარიშო პერიოდში მინიჭებული ქულების მინიმალური რაოდენობაა: ასისტენტ-პროფესორისთვის - 15, ასოცირებული პროფესორისთვის - 30, ხოლო პროფესორისთვის- 50 ქულა.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ფორმაში მითითებულია სამეცნიერო კვლევითი აქტივობის მინიმალური ქულები. ამრიგად, იცის პერსონალმა რა ქულა უნდა აიღოს საანგარიშო პერიოდში. ქულების გადაჭარბების შემთხვევაში პერსონალი წახალისებას იღებს. როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, მოთხოვნების შეუსრულებლობის

შემთხვევაში და იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სუსტი მხარე გამოჩნდა პერსონალის კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაში, დაწესებულება ატრენინგებს პერსონალს და ეხმარება მათ სისუსტეების დაძლევაში. დაუყოვნებლივ არ ხორციელდება ადმინისტრაციული სადამსჯელო ღონისძიებები ასეთ შემთხვევაში.

სამეცნიერო პროდუქტიულობის საერთო შეფასებაში (სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის თვითშეფასების ანკეტა/ფორმა) განსაზღვრული ადგილი უჭირავს სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებს, რომლის შეფასების კრიტერიუმებშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვლევითი აქტივობის საერთაშორისო მაჩვენებლები, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესში არ არის მითითებული მოთხოვნა პუბლიკაციების ციტირების ინდექსის გათვალისწინების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა დაწესებულებამ განავითაროს კვლევითი აქტივობის შეფასების სისტემა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც დამყარებული იქნება გამჭვირვალე კრიტერიუმებზე, მათ შორის კვლევითი პუბლიკაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტებზე, კერძოდ: პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლები. მსგავსი მოთხოვნის დაწესება კიდევ უფრო გააძლიერებს დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს, ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალის კვლევების საერთაშორისო აღიარებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ხელისშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია კვლევითი ცენტრი. უკვე გამოსცეს სამი სამეცნიერო ჟურნალი. ჩატარდა ორი სამეცნიერო კონფერენცია და ემზადებიან მესამე კონფერენციისთვის. აფილირებული პერსონალის წახალისების პოლიტიკა არსებობს დაწესებულებაში. **როგორც ინტერვიუებიდან დგინდება,** პერსონალი მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას ფინანსურად კონფერენციებში მონაწილეობისთვის, წიგნების გამოცემისთვის და ა.შ.

დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციას (https://alterbridge.edu.ge/samecniero-konferencia/; https://alterbridge.edu.ge/wp-content/uploads/2021/07/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98.pdf ვებ-გვერდზე შესვლის თარიღი: 05.02.2022) და **გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს** (https://journal.alterbridge.edu.ge/index.php/tcms ვებ-გვერდზე შესვლის თარიღი: 05.02.2022). ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებას საქართველოში. კონფერენცია ემსახურება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოღვაწე მეცნიერების, აკადემიური პერსონალის, გამოცდილი და დამწყები მკვლევრების, მათ შორის დოქტორანტების/მაგისტრანტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოჩენას ფართო აუდიტორიის წინაშე.

სამეცნიერო ჟურნალი **„თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“ ელექტრონული** სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალია, რომელიც დაფუძნებულია მართვის და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ მიერ. სამეცნიერო ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ერთხელ და არის ორენოვანი (ქართული და ინგლისური ენები). ჟურნალის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მისცეს შესაძლებლობა მკვლევარებს, სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, რომ მათ გააცნონ საკუთარი სამეცნიერო საქმიანობა ფართო აუდიტორიას. „თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“ ბეჭდავს როგორც ქართველი, ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრები მკვლევარების სტატიებს. ეს კი ხელს უწყობს კვლევების ინტერნაციონალიზაციას და თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას მკვლევარებს შორის, ასევე, წარმოაჩენს მათ კვლევით პოტენციალს. ჟურნალის სარედაქციო საბჭო განიხილავს სტატიის არა მხოლოდ აქტუალურობას, კვლევის მახასიათებლებს და მათ ღირებულებას, არამედ მის ტექნიკურ მხარესაც (დიზაინი, ციტირება, სტილისტური მხარე).

სამეცნიერო ჟურნალზე წვდომა თავისუფალია, ხოლო საავტორო უფლება სტატიაზე ეკუთვნით სტატიის ავტორებს და თანაავტორებს. სტატიები ხელმისაწვდომია ღიად ფართო აუდიტორიისათვის და შესაძლებელია მათი უფასოდ ჩამოტვირთვა. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

როგორც ინტერვიუების შედეგად დადგინდა, სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭო მეტწილად ადგილობრივი მკვლევარებითაა დაკომპლექტებული, თუმცა ამ ეტაპზე ჰყავთ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთი უცხოელი წევრი. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, იგეგმება სარედაქციო საბჭოს გაძლიერება უფრო მეტი უცხოელი წევრით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემისას რეცენზირების პროცესი გარე შემფასებლების (მათ შორის საერთაშორისო შემფასებლების) მონაწილეობით, რათა უზრუნველყოს გამოქვეყნებულ ნაშრომთა ხარისხი და მოიპოვოს სამეცნიერო ნაშრომების სანდო საგამომცემლო ცენტრის რეპუტაცია. ამასთან, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო ჟურნალისა და სამეცნიერო კონფერენციის მასალების ინდექსირება იმპაქტ-ფაქტორის მქონე ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში, როგორიცაა Scopus, Web of Science, SCImago Journal & Country Rank, ERIH (European Reference Index of the Humanities), ERIHPLUS, SCI / SSCI / HCI და სხვ.

დაწესებულებაში იგეგმება საერთაშორისო კონფერენციების გამართვა, დაწესებულების პერსონალმა მონაწილეობა მიიღო არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში, ასევე მიიღეს კარგი გამოხმაურება დაწესებულების მიერ ჩატარებულ კონფერენციებზე, მიღებული აქვთ დაპირებები, რომ უცხოელი მკვლევარებიც მიიღებენ მონაწილეობას დაწესებულების მიერ ჩატარებულ კონფერენციებში. დაწესებულების აკადემიური პერსონალისთვის კონფერენციებში/ტრეინინგებში მონაწილეობა სრულად უფასოა.

დაწესებულების პერსონალი ჩართულია საერთაშორისო კვლევით პროექტებში, მაგალითად ორგანიზაცია „COST – EUROPEAN COOPERATION IN SCIENCE AND TECHNOLOGY“ის ერთ-ერთ კვლევით მიმდინარე პროექტში სახელად Multi-Disciplinary Innovation (MDI) for Social Change ჩართულია დაწესებულების ერთ-ერთი პერსონალი (https://alterbridge.edu.ge/ongoing-project/ ; ვებ-გვერდზე შესვლის თარიღი: 05.02.2022).

დაწესებულებას დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორიცაა გაერთიანებული ერების ბავშთა ფონდი საქართველოში (The Unated Nations Cgildren's Fund in Georia). ასევე დადებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ორგანიზაციასთან „AIESEC საქართველო“, რაც ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს: სტუდენტების გაცვლა, მოხალისეობრივი პროგრამები/სტჟირება საზღვარგარეთ, განსაკუთრებული პირობები ალტერბრიჯის სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, დადებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: UNICEF – ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სტაჟირება/დასაქმება; გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV)- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, პარტნიორ ორგანიზაციათა ფართო ქსელი; სტაჟირება/დასაქმება.

დაწესებულებას განხორციელებული აქვს შემდეგი აქტივობები კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით: სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრის სტატუსით დაემატა ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი, სამართლის და უმაღლესი განათლების ექსპერტი; სამეცნიერო ჟურნალზე განთავსებული სტატიები იძებნება/განთავსებულია google scholar პლატფორმაზე; სამეცნიერო ჟურნალს აქვს მინიჭებული ISSN კოდი; იგეგმება ეტაპობრივად განაცხადის შეტანა, რომ ალტერბრიჯის

სამეცნიერო ჟურნალი მათ ბაზებში განთავსდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კვლევითის საქმიანობის ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები და ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში; • ალტერბრიჯის აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების ანგარიში; • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან; • დაწესებულების ვებ-გვერდი https://alterbridge.edu.ge/ ; • სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის თვითშეფასების ანკეტა/ფორმა; • აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კითხვარი; • აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/ ; • ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა; • აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა; • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; • პროგრამის შეფასება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ; • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტევიუს შედეგები; • პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; • დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • დაწესებულებამ კვლევითი აქტივობის შეფასების სისტემაში გამოიყენოს კვლევითი პუბლიკაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტები. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლები, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალის კვლევების საერთაშორისო აღიარებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • უნივერსიტეტში სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემისას გაძლერდეს რეცენზირების პროცესი ადგილობრივი და საერთაშორისო გარე შემფასებლების მონაწილეობით. • დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეცნიერო ჟურნალისა და სამეცნიერო კონფერენციის მასალების ინდექსირება იმფაქტ-ფაქტორის მქონე ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში, როგორიცაა Scopus, Web of Science, SCImago Journal & Country Rank, ERIH (European Reference Index of

the Humanities), ERIHPLUS, SCI / SSCI / HCI და სხვ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სივრცეების დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯის“ სივრცეში, რომელიც მოიცავს თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ ცენტრს, კაფეტერიას და სხვა. სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო პლატფორმა ELMS, სადაც ხდება სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო მასალების ატვირთვა, ყოველკვირეული დავალებების შესრულება და გასწორება. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკას აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად ატარებს მონიტორინგს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობასთან დაკავშირებით.
პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია - სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.
ელექტრონულ ბაზებში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი ჟურნალების უმეტესობას მინიჭებული აქვს Thomson Reuters-ისა და Scopus ციტირების ინდექსი.

ელექტორნული ბიბლიოთეკაში ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა არ იძებნება. ინტერვიურების დროს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ელოდებიან საავტორო უფლებების მოპოვებას და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხებენ ელექტრონულ მატარებელზე მის განთავსებას. სასურველია მითითებული იყოს ის სახელმძღვანელოები, რომელიც განთავსებულია და იძებნება ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ან მოცემული იყოს რიდერების სახით.

უსდ-ს აქვს აკადემიური საქმიანობის წახალისების წესი, კერძოდ, წახალისების თანხა გაიცემა სამეცნიერო შრომის (სტატია/საკონფერენციო მასალა, წიგნი/წიგნის თავი), პატენტისა და სარედაქციო სამუშაოსათვის, რომელიც განხორციელებულია უნივერსიტეტის სახელწოდების გამოყენებით იმდაგვარად, რომ იდენტიფიცირდეს აქტივობის განმახორციელებელი პირის აკადემიური კავშირი უნივერსტეტთან. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე და სათანადო მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ პრორექტორი სამეცნიერო - კვლევით დარგში იღებს გადაწყვეტილებას წახალისების თანხის გაცემის შესახებ და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში წახალისების თანხა ნაწილდება მონაწილეთა შორის პროპორციულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- აკადემიური საქმიანობის წახალისების წესი

  https://alterbridge.edu.ge/wp-content/uploads/pdf/akademiuri-saqmianois-waxalisebis-wesi.pdf

- ალტერბრიჯის კამპუსი 3 D ვიდეო ტური

  https://alterbridge.edu.ge/alterbridge-3d-video-turi/

- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;

  https://alterbridge.edu.ge/library/

- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;

  https://alterbridge.edu.ge/library/

- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები განთავსებული იყოს ბიბლიოთეკაში(ელექტრონული ან ბეჭდვითი სახით).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- **აკადემიური საქმიანობის წახალისების წესი**
  პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობ

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლები დაყოფილია ორ ნაწილად: (ა) სწავლის საფასური - სწავლის საფასურის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავლები; (ბ) საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების საფუძველზე მიღებულიგრანტები. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობა შემდეგნაირია: პირველკურსელების რაოდენობა ყოველ წელს არის 50 და ნავარაუდებია, რომ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს სწავლას აგრძელებს პირველ სასწავლო წელს მიღებულ სტუდენტთა 90%-95%. აქედან გამომდინარე სტუდენტების საერთო რაოდენობა 2025-2026 სასწავლო წლისთვის, სავარაუდოდ, იქნება დაახლოებით 183 სტუდენტი. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის წლიური საფასური შეადგენს - 3500 ლარს. ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული გრანტები ნავარაუდებია შემდეგნაირად: მოზიდული გრანტების ოდენობა პირველ წელს დაგეგმილია სწავლის საფასურის გადახდით მიღებული თანხის 10%-ის ოდენობით. სულ შემოსავალი სწავლების პირველ წელს (2022-2023 წწ.) დაგეგმილია 192 500 ლარი, სულ ხარჯები -179 299 ლარი, შესაბამისად, საოპერაციო სალდო- 13 201 ლარი. სულ შემოსავალი სწავლების მეოთხე წელს (2025-2026 წწ.) დაგეგმილია 704 550 ლარი, სულ ხარჯები - 449 363 ლარი, შესაბამისად, საოპერაციო სალდო - 255 187 ათასი ლარი.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 10% სტუდენტების წახალისებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო მთლიანად სტუდენტური და პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევებისთვის - 30%. მაგალითად, სწავლების პირველივე წელს (2022-2023 წწ.) დაგეგმილია კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები, მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯი- სულ 31,500 ლარის ოდენობით, რაც შეადგენს პროგრამის დაგეგმილი შემოსავლების დაახლოებით 16%-ს. მოცემულ ეტაპზე დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას ჯერ-ჯერობით არ უზრუნველყოფს სტუდენტთა რაოდენობა. მიმდინარე მომენტში დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია დაფინანსების სხვა წყაროებით: საკრედიტო ხაზი, დამფუძნებლის შენატანი, საგრანტო კონკურსების საფუძველზე მიღებული გრანტები და სხვ., რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს, უზრუნველვყონ დაგეგმილი საგანმანათლებლო პროცესები.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში გაიზარდოს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობაც. დაწესებულების ბიუჯეტი უზრუნველყოფს საჭირო ძირითადი საშუალებების და სწავლის პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო საქონლის თუ მომსახურების დროულ შეძენას. სასწავლო უნივერსიტეტის სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საშუალებას იძლევა, რაც გამოიხატება პროგრამის განმახორციელებლების მიერ სტატიების გამოსაქვეყნებლად, კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად და დასასწრებად ფინანსურ უზრუნველყოფაში. ბიუჯეტში, აგრეთვე გათვალისწინებულია თანხები სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სფეროს აქტუალურ საკითხებზე (ადგილობრივი

და საერთაშორისო) კონფერენციებისა და სემინარების მოსაწყობად. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოყოფილია თანხა ბიბლიოთეკის სასურველ დონეზე ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია ახალი სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ლიტერატურის, პერიოდული გამოცემების შეძენა. ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები, სხვადასხვა ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობისთვის საჭირო საწევროებისა და სხვა სახის გადასახადებისთვის. ამრიგად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა მიღწევადია. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული ისე ერთჯერადი. ბიუჯეტი მოიცავს როგორც არსებული ადამიანური რესურსების შრომის ანაზღაურების, ასევე პერსონალის კვალიფიკაციისა და კვლევითი პოტენციალის ასამაღლებელ ღონისძიებათა დაფინანსებას, მატერიალური და სასწავლო რესურსების მართვის, მოვლის და განახლების ხარჯებს, ასევე მოთხოვნებს სასწავლო და ტექნიკური ლიტერატურის და აღჭურვილობის შესაძენად. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროფესიული გადამზადების ხარჯები პირველ სასწავლო წელს შეადგენ 5000 ლარს (ხარჯების 0,03%) და იზრდება მომდევნო წლებში იზრდება 8640 ლარამდე. ბიბლიოთეკაზე გამოყოფილი ხარჯები პირველ სასწავლო წელს შეადგენს 2200 ლარს (ხარჯების 0,01%) და ძალზედ უმნიშვნელოდ იზრდება მომდევნო წლებში. სასურველია, პროგრამის ამოქმედებისთანავე პერსონალის საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გაიზარდოს დაფინანსება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, ამასთან, საჭიროა გაიზარდოს დაფინანსება საბიბლიოთეკო ფონდისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; • დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის ამოქმედებისთანავე პერსონალის საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გაიზარდოს დაფინანსება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, ამასთან, საჭიროა გაიზარდოს დაფინანსება საბიბლიოთეკო ფონდისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. რექტორის ბრძანებით შეიქმნა ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის მომზადებისა და წარდგენის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა შეემოწმებინა ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, მოემზადებინა თვითშეფასების ანგარიში და დადგენილი წესით განსაზღვრული ყველა საჭირო დოკუმენტაცია. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილდა პასუხისმგებლობები, მათ დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებსა და მასში შემავალ სპეციალისტებზე მოხდა ფუნქციების დელეგირება. განისაზღვრა სტანდარტებზე/ქვესტანდარტებზე პასუხისმგებელი პირები, მათი პასუხისმგებლობის სფეროები და შესრულების ვადები. სამუშაო ჯგუფის წევრები პერიოდულად ხვდებოდნენ და იხილავდნენ სააკრედიტაციოდ მოსამზადებელ დოკუმენტაციას და პროცედურების მიმდინარეობას. ხდებოდა ჩართული მხარეების საინფორმაციო მასალით უზრუნველყოფა, დაინტერესებული მხარეების წინადადებების გათვალისწინება და პროგრამაში ასახვა.
სამუშაო პროცესში განხორციელდა ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ. სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა პროგრამის მიზნები, დამუშავდა სწავლის შედეგები, მოხდა რუკების აგება, კრედიტების განსაზღვრა და გადახედვა, განისაზღვრა სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, მოძიებულ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

როგორც თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრები თითქმის ყოველკვირეული ინტენსივობით ტარდებოდა ძირითადად ზუმის საშუალებით, თუმცა ჰქონდატ ვიზიტები დაწესებულებაშიც. ამასთან, დრაივზე ჰქონდათ ატვირთული დოკუმენტები, სადაც აკომენტარებდნენ განსახილველ დოკუმენტებს. ადმინისტრაციას და პერსონალს მუდმივი კონტაქტი ჰქონდა ერთმანეთთან.
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი: ,,ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც ეფუძნება ბოლონიის პროცესის დოკუმენტებს, დუბლინის დისკრიპტორს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორს, საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ კანონქვემდებარე აქტებს. აღნიშნული დოკუმენტი არის ერთგვარი სახელმძღვანელო, თუ როგორ ხდება სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა. თვითსეფასების ანგარიშში დანართების სახით წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტები (სეფასების სხვადასხვა ანკეტა/კითხვარების ფორმით), ასევე შიდა ხარისხის შეფასების მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგები, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ანგარიშები და კვლევების შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების დებულება https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/ ;

- დაწესებულების შინაგანაწესი https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/ ;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- ელექტრონული სწავლების წესი https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- მაგისტრატურის დებულება https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- პერსონალის კონტიგენტის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- აკადემიური საქმიანობის წახალისების წესი https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- აკადემიური კეთილსინდისირების პოლიტიკა https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- ეთიკის კოდექსიhttps://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაhttps://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები **https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/**;
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- ხარისხის მართვის სამსახურის შეფასების სქემა;
- ხარისხის მართვის სამსახურის კვლევების შედეგები;
- ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა;

- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- შრომისა და სამომხმარებლო ბაზრის კვლევის შედეგები (2019 წ., 2021წ.);
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის დოკუმენტი;
- პროგრამის შეფასება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტევიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზოგადად, გარე შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის განხორციელებისას. თუმცა, მსგავსი გარე შეფასება ვერ განხორციელდებოდა, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ახალ პროგრამას, რომელიც პირველად არის წარდგენილი აკრედიტაციის მისაღებად. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტი 5.2. არ შეუფასებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებულია წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლებისა და კვლევების შეფასება. ასევე, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით, ფოკუსჯგუფები ან სხვა) აღნიშნულ კურსს.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური შეფასება განხორციელდა უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების-პარიზის უნივერსიტეტის (2019 წლამდე ერქვა პარიზის დენი დიდროს უნივერსიტეტი) პროფესორის მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტი შედგენილია ინგლისურ ენაზე და მას არ ახლავს შემფასებლის ხელმოწერა.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, დაწესებულებამ ჩაატარა ბაზრის კვლევა. თავდაპირველად პროგრამის ხელმძღვანელებმა შექმნეს ანალოგიურ უცხოურ და ადგილობრივ პროგრამებთან ბენჩმარკინგის დოკუმენტი და შექმნეს პროგრამის სასწავლო გეგმის მცირე ბადე. შემდეგ ამ ბადის განხილვა შედგა დამსაქმებლებთან, დამსაქმებლებთან შეხვედრის შემდე მიიღეს უკუკავშირი, თუ რა სურდათ დამსაქმებლებს და ამის შემდეგ დაზუსტდა პროგრამის სასწავლო გეგმა. ინტერვიუს დროს დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ დამსაქმებლებმა გამოკვეთეს ორგანიზაციული განვითარების კუთხით ფსიქოლოგიის როლი, ამიტომ საინტერესოა ფსიქოლოგიის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა. დაწესებულებას მიაჩნია, რომ დამსაქმებლების ეს ხედვა ზურგს უმაგრებს მათ, როგორც სასწავლო უნივერსიტეტს, რომ გახსნან ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დამსაქმებლებმა დაწესებულებას ურჩიეს, რომ პრაქტიკოსი ლექტორებით იქნეს დაკომპლექტებული პროგრამა, პროგრამაში ჩაერთოს უფრო მეტი სტაჟირება, მეტი ციფრული საგნები. მათი რჩევის გათვალისწინებით დაემატა ახალი საგნები, რომელიც შემოტანილია არჩევითი სახით, რომ უფრო მიმზიდველი და განსხვავებული გახდეს პროგრამა. დაწესებულების ადმინისტრაციის აზრით, პროგრამების განმორჩეული ნიშანია პრაქტიკოსი ლექტორებით დაკომპლექტება. ამით დაწესებულების სტუდენტს ექნებათ ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც გაიმყარებენ პრაქტიკული უნარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები **https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/**;
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და

განხორციელებული ცვლილებები; • ხარისხის მართვის სამსახურის შეფასების სქემა; • ხარისხის მართვის სამსახურის კვლევების შედეგები; • ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა; • აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა; • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; • შრომისა და სამომხმარებლო ბაზრის კვლევის შედეგები (2019 წ., 2021); • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის დოკუმენტი; • პროგრამის შეფასება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ; • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტევიუს შედეგები; • პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; • დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან ბერიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნათია სორდია

სახელი, გვარი, ხელმოწერა ია ნაცვლიშვილ

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეკლე ჩხეიძე